

მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 22 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "არარატი" (ერევანი) 1:1 (1:1).

"დინამო": გოგია, ხიბანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაშვილი, ებრალიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩელებაძე), გუცაევი, ყიფიანი, დარასელია (ჩივაძე).

"არარატი": ოვსეპიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, აზარიანი, ს. პეტროსიანი (მინასიანი), ფარსადანიანი, ოვანესიანი, ქეროპიანი, ნ. პეტროსიანი, ხალაიჯიანი (ღაზარიანი).

მსაჯი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

გაფრთხილებული არიან კანთელაძე, ყიფიანი, აზარიანი, ფარსადანიანი, ოვანესიანი.

დუბლიორები -6:1.

საბჭოთა ფეხბურთში არსებობს ტრადიციული წყვილები, რომლებიც დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი მონინააღმდეგე რა ადგილზეა, ერთმანეთს შორის თამაშობენ საგანგებო მობილიზებით, ძალების მაქსიმალური დაძაბვით, ყოველგვარი კომპრომისის გარეშე. ეს მეტოქეობა წლიდან წლამდე გრძელდება.

ერთ-ერთი ასეთი ტრადიციული წყვილია "დინამო" (თბილისი) – "არარატი" (ერევანი). ამ ორი გუნდის შეხვედრები მუდამ გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, დაძაბული სანახაობრივი პერიოდებით, უშედავათო ბრძოლით. ამას მოველოდით ახლაც, XXXIX ჩემპიონატის სტარტზე, მით უმეტეს, რომ სტუმარ-მასპინძლები საგაზაფხულო პირველობის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები იყვნენ.

მატჩის პირველი 15–20 წუთი ყოველმხრივ შეესაბამებოდა წლებით დაკანონებულ ტრადიციას, მაყურებლებით სავსე ტრიბუნები ხმაურით ეგებებოდნენ მინდორზე მომხდარ ამბებს, იქ კი მაჩაიძე-ყიფიანის კომბინაციის შემდეგ დინამოელებმა ახალი იერიში წამოიწყეს, გუცაევი სწრაფად შეიძრა სტუმრების საჯარიმო მოედანზე, საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა და ამ მომენტში მას ფეხი დაუდო სარქისიანმა. პენალტი ეჭვს არ იწვევდა. თბილისელებმა 11-მეტრიანი მიანდვეს ქორიძეს, რომელმაც ზუსტად, ძლიერად დაარტყა – 1:1.

ამგვარი მნიშვნელობის მატჩში მეორე წუთზე დაწინაურება თავისთავად დიდი ამბავია, ხოლო "დინამოს" მძლავრი შეტევის ფონზე იგი გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორად უნდა ქცეულიყო. გუნდს აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდა, "არარატის" მცველები შეცდომაზე უშვებდნენ, მათ სასწრაფოდ დაეხმარნენ ნახევარმცველები, წინა ხაზის მოთამაშებიც, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა მიეცათ გუცაევს, კოპალეიშვილს, შემდეგ – ებრალიძეს, კანთელაძეს, მაჩაიძეს. მასპინძლები თამაშობდნენ გაშლილად, სწრაფად, გრძელი გადაცემებით. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ დინამოელები ნარმატებას მიაღწევდნენ.

დაახლოებით 15 წუთს მოედნის სრული ბატონ-პატრონი მასპინძლები იყვნენ. მეორე გოლიც თითქოს მხოლოდ უახლოესი დროის ამბავი იყო. ახლა ძნელი

სათქმელია, თუ რომელმა რგოლმა მოუკლო პირველმა თამაშს, სად და როგორ გაუშვეს დინამიკულებმა ხელიდან უპირატესობა, მაგრამ ფაქტია – ერევნელებმა ჭერ დაცვაში მოითქვეს სული, მერე თანდათან, მეთოდურად გადმოიტანეს წინ თამაში და, როცა სიტყვა მათს თავდასხმაზე მიდგა, გამოირკვა, რომ თბილისელთა დაცვა არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ნ. პეტროსიანის, ხალაიჯიანის, ოგანესიანის შტევებისას გოგია რამდენიმეჯერ აღომჩნდა აშკარა ხითათის წინაშე.

ინიციატივისა და ტემპის შენელებას ის მოჰყვა, რომ ერევნელებმა 33-ე წუთზე ისარგებლეს მოპირდაპირე მცველთა შეცდომით, გაითამაშეს ბურთი და ნ. პეტროსიანმა გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

შესვენების შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა “დინამოსი” იყო, მაგრამ თამაშის აწყობა გუნდმა ვეღარ შეძლო. ბურთი ხშირად ყოვნდებოდა, თავდამსხმელები (გუცაევის გარდა) ინერტულობდნენ, არ იხსნებოდნენ, უზუსტოდ ურტყამდნენ კარში. საერთოდ, მატჩიც უინტერესო გახდა: იგი ხშირად წყდებოდა, ორივე მხარე არღვევდა წესს, სტუმრები ეგრეთ წოდებული “მცირე ფოლის” ტაქტიკას დაადგნენ, მსაჯმა დროზე ვერ დაამყარა მინდორზე წესრიგი და მატჩის სპორტული ღირსება, სანახაობრივი მხარე მთლიანად დაიკარგა. საკმაოდ უსისტემო, ქაოსურ ბრძოლაში დინამოელებსაც (ხინჩაგაშვილი, ჩიგაძე) და არარატელებსაც (ნ. პეტროსიანი, ოგანესიანი) მიეცათ ანგარიშის შეცვლის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოიყენეს. საინტერესო ფეხბურთის ნაცვლად მაყურებელი საკმაოდ მდარე თამაშის მოწმე გახდა.

საქართველოს სპროტკომიტეტმა ამ მატჩში დააწესა სპეციალური პრიზები ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეთათვის. უიურიმ ისინი მიაკუთვნმა თბილისელ შ. ხინჩაგაშვილს და ერევნელ ნ. პეტროსიანს.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 24 აგვისტო, 1976 წ.